№ 247
კვირა, 11 ნოემბერი, 1901 წ.

1877–1901

ივერია

№ 247
კვირა, 11 ნოემბერი, 1901 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა № 24.
ტფილისი.
გაზეთის დასაგარეგლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდ'ზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თვე	ან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ბათუმის ქალაქის გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პარასკევს, 9 ნოემბერს, დილის 11 საათზედ, უეცრად გარდაიცვალა ბათუმის ქალაქის მოურავი

ლუკა ნიკოლოზის ძე ასათიანი.

განსვენებულს კვირას, 11 ნოემბერს, დაასაფლავებენ ქუთაისში. (1—ნ.—1)

ქართული თეატრი

კვირას, 11 ნოემბერს, 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება:
პირველად ამ სეზონში მ. მ. საფარიან-აბაშიძის მონაწილეობით

ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქმედებად ლენიერისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა, მდივანი და სხვ. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, აწყურელი, შათირიშვილი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები დაკლებულია გალერია 20 კაპეიკიდამ, პარტერი 50 კაპეიკამდე, ლოჟა 3 მანეთამდე.

რეჟისორი ვ. გუნია

მზადდება ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ ახალი პიესა ოსტროვსკისა „მგლები და ცხვრები“. (3—უ.—3)

კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან იყიდება 3 წლის ხილის ხეები. ვაშლის ხეები: წითელი, თეთრი და ყვითელი ყალვილი, ანტონოვკა, სინოპი და ორენეტი. მსხალი: ალექსანდრე, სასაზამთრო გულაბი; ატამი. ფასი დაკლებულია.

(3.—6.—3)

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას ან საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (мѣтки). ბარონის ქუჩა, № 12.

(1—უ—20)

დარგაზი ვეტცელისა

(მიხეილის პროსპექტზე).

კვირას, 11 ნოემბერს 1901 წ. უფასო სამკითხველოების სასარგებლოდ
გაიმართება

საღამო.

I

ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

„გაცრუებული იმედები“

კომ. 2 მოქმ. ქ-ნ აზიანისა.

II

წარმოდგენის შემდეგ

ცეკვა.

ბილეთები იყიდება სამკითხველოში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში); წარმოდგენის დღეს-კი თვით დარბაზის კასაში:

დასაწყისი 8 საათზედ.

(1—უ—1)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ ნოემბრის 11 დღესა დილის 11 საათზე სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საზოგადო კრება.

1, არჩევანი გამგეობის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა.

2, არჩევანი სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა.

3, არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—უ—3)

ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობა ამით აცხადებს, რომ კრება ქალაქ ოზურგეთის მამულის პატრონთა, უმაღლესად ნება დართულ დაკლებულ რწმუნებულთა დამატებით არჩევნებისათვის, დანიშნულია რვა დეკემბერს 1901 წ. დილის ცხრა საათზედ ოზურგეთის მაზრის სამმართველოს დარბაზში.

(3—238—1)

ჟურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ქ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ძარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ფელეტონი

ზღერ „ხა-ხა-ხა“ და მერე „ვაი-ვაი-ვაი“.

ბუნებითად ძლიერი ჭკუის, მაგრამ უმეცარი კაცი ჯაჭვით დაბმული ლომია: შორს ვერ მისწვდება, მაგრამ, სანამდისაც კი მიუშვებს დამბმელის წვერი, თვისი ძლიერებაც თან მიაქვს. ბუნებითად ჭკუა უძლური, მაგრამ ნასწავლი კაცი კი ფრინავი კაჭკაჭია: გზა ხსნილი აქვს, აქაც არის და იქაც; ხან ბარჯვნივ გააქანებს ქარი და ხან მარცხნივ, დაფარფატობს და ყოველგან გაისმის მისი უსიამო და უაზრო ჩხავილი. ღმერთმა ყველას შოროს ერთიცა და მეორეობაც, მაგრამ თუ კაცის თავზე ღვთის ნისხვა გადუალია, მოფარფატე კაჭკაჭობას ისევ დაბმული ლომობა ჯობია.

ჩვენი მამები, სწორეთ რომ, დაბმული ლომები იყვენ: შორს ვერ მიდიოდენ, მაგრამ ფეხალაგობ კი, თავისს მიდამოზე, ძლიერება არა ჰკლებიათ და მტერი შორიდან თუ ამოიღებდა ნიშანში, იმასაც სიფრთხილით, თორემ ახლოს, ვაგლახად ვერ მიჰბედავდა. ჩვენ კი, მათი შვილები, უნდა გამოგიტყდეთ, კაჭკაჭები ვართ, აღარც შორს ვარგივართ და აღარც ახლოს. მტერს იმდენად სასაცილოდ მიაჩნია ჩვენი უძლურება, რომ ხანდახან ხელის გულზედაც კი გვსვამს და „შია-შოშიასა“ და წყალ-ტაშტი—მარტიას“ ჩაძახებით, საკენკსაც კი გვიდებს ხოლმე პირში, რომ ჩვენი პატარა, ჩიტის, გული მოიგოს. და საკენკის გულისათვის ჩვენც ხომ, საითაც გინდათ, იქითკენ გავფრინდებით...

თათრული ანდაზაა: „ვის უნახავს ცხვრის ლეკვი და ძაღლის ბატკანიო!“ ეს მართალია, მაგრამ უპატრონობით რომ ბატკანი ძაღლივით გაკუდქეციანდეს და ლეკვმა პატივში ცხვარივით ქონი ღარად დაისვას და კუდი გაიდუშოს და მით ჩამომავლობითი სახე შეიცვალოს, ესეც შეიძლება და ამ გვარ ცვლილებას, ანუ გადასხვაფერებას, მაინცა-და მაინც, ათას-ათასი საუკუნოები არ ეჭირვება, ერთი საუკუნეც საკმარისი ყოფილა. ამისი მაგალითი ჩვენვე ვართ: ჩვენი მამები ფაფრიანი ლომები იყვენ და ჩვენ კი კუდაბზიკა კაჭკაჭებს დავემსგავსეთ.

ამას ხედავდა განსვენებული გიორგი წერეთელი და მიტომაც „მგზავრის წერილებში“ ერთი შესანიშნავი ტიპი დაგვიხატა—„კუდაბზიკა“, რომელიც არც ფალსტაფსა ად არც სერვანტესის დონ-კიხოტს არ ჩამოუვარდება. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ფალსტაფი უზნეურობის ნაყოფია, დონ-კიხოტი უჭკუობისა და ჩვენი კუდაბზიკა კი ბავშურის გატაცების, მაგრამ შედეგი კი ყველას ერთგვარი მოჰყვება ხოლმე, ცხოვრებისთვის გამუოსადეგარი და ბევრჯელ მავნებელიც.

ჩვენი დღევანდელი კუდაბზიკობა, როგორც ბავშური რამ, სასაცილო იქნებოდა, რომ დრო და ჟამი ჩვენვე გვეჭიროს ხელში, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ სხვები ჩვენ კუდაბზიკაებს განძრახვ მხარს აძლევენ, გამოჰყავთ ცხოვრების სარბიელზე და აქ, სადაც სხვა დროს ხორბალი უნდა დათესილიყო, ეკალი ითესება. დღევანდელი ჩვენი ცხოვრების სარბიელი იმ კუდაბზიკა კაჭკაჭების ხელშია, რომელთაც თავის-თავად არა ეხერხებათ-რა და მხოლოდ სხვისას ჩხავიან. და იქ, სადაც ასი და ათასი კაჭკაჭი ერთხმად გაიძახის, რომ კიდეც გამოჩნდენ თითო-ოროლა ბულბულ-იადონები, ვიღას მიაწვდენენ ხმას?

განა ცოტა ყოფილა ჩვენში მაგალითი, რომ როკა ეკალი და ღვარძლ-გორვალა ითესებოდა, ზოგიერთი შეგნებულები მწუხარებით თმას იგლეჯდენ და ხალხს აფრთხილებდენ. მაგრამ იმავე დროს კაჭკაჭა-უმეტესობა სულ სხვას ეუბნებოდა და არწმუნებდა ქვეყანას: ნუ დაუჯერებთ მაგათ,—ჩვენ ვართ თავმდები, რომ ხორბალი და ბრინჯი ითესება, რომელსაც ია და ვარდიც თან მოჰყვებაო. ხალხიც, უმეტესობის ამყოლი, მათთან ერთად ხარხარობდა და კიჟინასა სცემდა მართლის მთქმელებს.

გადიოდა ხანი და იმ ზოგიერთების წინასწარმეტყველება მართლდებოდა: იქ, საიდანაც ია-ვარდს მოელოდენ, ეკალ-ნარი ამოდიოდა, სჩხვლეტდა ქვეყანას და წინანდელი მათი წინ-დაუხედავი „ხა-ხა-ხა!“ „ვა--ვაიზე!“ გადადიოდა. გულს არ იტეხდენ მხოლოდ კაჭკაჭები და იმ თავით მათგან მოტყუებული ხალხი, ამ თავითაც შეცდომაში შეჰყავდათ და არწმუნებდნენ, რომ ეს ღვარძლი და ეკალი არ ამოვიდოდა, თუ ამ ზოგიერთებს ჩვენთვის ხელი არ შეეშლევინებიათ და ჩუმათ ყოფილიყვნენო. აი ამაზედ არის ნათქვამი: „ადამიანის შუბლის კანი ხახვის გარსზედაც უთხელესია, მაგრამ თუ გამაგრდა, კამეჩის ტყავსაც გადააჭარბებსო“.

შეუცდომელი მხოლოდ ღმერთია და ადამიანის თავზე-კი შეუცდომლობა გადუალია! მაგრამ გულწრფელი და გონიერი კაცი რომ გამოიცდება, ჭკუას ისწავლის და აღარ გაიმეორებს შეცდომას. ჯორი რომ ზამთარში ტალახში სადმე ჩაეფლობა, ზაფხულში რომ იმ

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

ლუკა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ᲐᲓ. Გ. ᲤᲔᲓᲝᲠᲝᲕᲘ. შინაგან და პაკშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. Ა. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

Ი. Ჯ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

Ა. Მ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ—თვალის, 10—11 საათ.

ᲔᲥᲘᲛᲘ-ᲥᲐᲚᲘ Მ. Ნ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ ბავშვებისა—11—12 ს.

Დ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

Ა. Გ. ᲑᲐᲠᲡᲣᲙᲝᲕᲘ — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

Ნ. Ა. ᲕᲝᲚᲘᲜᲝ—ხირურგიული (სადოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

Ი. Დ. ᲑᲔᲖᲗᲐᲑᲔᲖᲝᲕᲘ. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

Ი. ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ:

Გ. Გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

† ᲚᲣᲙᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ-ᲫᲔ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ.

(ნეკროლოგი).

—

ამ თვის ცხრას, დილის თერთმეტ საათზე უეცრად გარდაიცვალა ბათომის ქალაქის თავი ლუკა ნიკოლოზის ძე ასათიანი.

განსვენებული ქვიტირელი ღარიბი აზნაურის შვილი იყო. განათლება მიიღო ქუთაისის მაზრის სასწავლებელში. ამ სასწავლებელში კურსის დამთავრებისათანავე იგი, მაშინდელ და, ღვთის წინაშე, ახლანდელ ჩვეულებისამებრ,—შევიდა სახელმწიფო სამსახურში — ბაქოს ოლქის სასამართლოში მწერლად. სასამართლოს უწყებაში მან თან-დათანობით მიაღწია ოლქის სასამართლოს წევრობამდე.

ამ თანამდებობაზე ამხანაგთა შორის მედგარი შრომითა და მსუბუქი კალმით მან დაიმსახურა დაუღალავი მუშისა და ნიჭიერი „მომხსენებელის“ (докладчикъ) სახელი.

ბაქოდან ლუკა ნ. ასათიანი გადაიყვანეს თავის სამშობლო კუთხის დედა ქალაქს ქუთაისში ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსად.

როცა ქუთაისის პირველს ქალაქის თავს, მმართებლობისაგან დანიშნულს თ-დს ნ. აბაშიძეს სამსახურის ვადა გაუვიდა, მაშინ თანამედროვე „საზოგადო საქმეების მესვეურის“ გიორგი ღოღობერიძის დასმა სთხოვა ლ. ნ. ასათიანს ეკისრნა ქალაქის მოურავობა. ეს პირველი მაგალითი იყო იმერეთის ისტორიაში, რომ კენჭით ასარჩევ თანამდებობაზე კაცს პირიქით ეხვეწებოდენ—გამობძანდით, დაგვავალეთ, თქვენი არჩევა გვინდაო...

ხანგრძლივი რჩევის შემდეგ ლ. ასათიანი დათანხმდა საპატიო პირთა წინადადებას და დახურული კენჭის ყრით ხმოსანთა დიდმა უმრავლესობამ აირჩია ქალაქის თავად.

თორმეტი წელიწადი დაჰყო მან ამ საჭირ-ბოროტო თანამდებობაზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი იყო დინჯი კაბინეტური მუშა და მომჭირნე მეურნე ქალაქის ქონებისა. მან მოუგო ხაზინას ქალაქის საკუთრებად ეგრ-ედ წოდებული „სამეფო სახლის“ ეზო, რიონის პირად, გაგარინის ქუჩაზე, რომელიც შემდეგ ლ. ნ. ასათიანის მოადგილის თაოსნობით ხაზინასვე დაეთმო ზედ ოლქის სასამართლოს ასაშენებლად. მანვე ამოიგო 16,000-მდე მანეთი, რაიცა რამდენსამე წლის განმავლობაში შეცდომით აეღოთ ქალაქისაგან სხვა-და-სხვა გადასახადის ანგარიშში. მისს გაკეთებულთა შორის ყველაზე უფრო სამახსოვროა ქუთაისის ერთად-ერთი ბაღის (ბულვარად წოდებული) რკინის ლამაზი და მაგარი გალავანი.

ქალაქის თავის მანამდებობაზე ყოფნის დროსვე იგი იყო ჯერ წევრად ტმერე თავჯდომარედ ქუთაისის თავად-აზნაურთა ბანკის ზედამხედველის კომიტეტისა. ამ უკანასკნელს თანამდებობაში მან გამოიჩინა იშვიათი მოუსყიდველობა და ხასიათის სიმტკიცე, როდესაც იმერეთის საზოგადოებრივს ასპარეზზე ანაზდათ გამოჩნდა ერთი ჯურის დასი, რომლის მომავლინებელი სხვა-და-სხვა ღონისძიებით „არჩეულ“ იქმნა კიდეც ბანკის თავმჯდომარეთ. ლუკა ასათიანი, სხვა მოწაღმართე პირებთან ერთად, მხნეთ და თავგამეტებით სდევნიდა იმ დასის სისტემას საზოგადოებრივი საქმის მმართვისას.

სამაგიეროთ, როცა დასრულდა მეთორმეტე წელიწადი ლ. ნ. ქალაქის თაობისა, იგივე დასი ერთთავად მიემხრო ასათიანის წინააღმდეგ გამოსულს კანდიდატს და მათგან მიგნებულ ღონისძიებამ შვიდი კენჭით აჯობა ასათიანის თეთრ კენჭებს...

იმ კენჭების დათვლის ერთი საათის შემდეგ, მაშინდელმა გუბერნატორმა შალიკოვმა, პოლიცმეისტრის ზ. ჭავჭავაძის პირით სთხოვა ლ. ნ. ასათიანს მიეღო თავისუფალი თანამდებობა საგუბერნიო მმართველობის მოთათბირესი (Совѣтникъ). ამ თანამდებობაზე მან დაჰყო ერთ წლამდე და შემდეგ არჩეულ იქმნა ბათომის ქალაქის თავად, იქაც პირველის ქალაქის თავის – მმართებლობისაგან დანიშნულის ბ-ნ გავრონსკის შემდეგ.

წელს მერვე წელიწადია რაც ლ. ნ. ასათიანი ბათომის ქალაქის თავობდა. ყოველთვის დინჯი, აუღელვებელი, ათჯერ გამზომილ ერთჯერ გადამჭრელი, ის ბათომშიაც თანაუგრძნობდა საწაღმართო გზაზე მუშაკთ.

ბოლო ხანებში მას დასჩემდა ავადმყოფობა, რომელმაც 70 წლის მოხუცს მოუდუნა თაოსნობის ენერგია, და ამან შეუშალა ხელი წინანდელი სიმტკიცით შებრძოლებოდა რამდენიმე ვითომ-მოღვაწეების უკულმართობას, რომელთაც დიდი სურვილი ჰქონდათ სხვისს ზედადგარზე თავიანთი ქვაბი გაეთბოთ.

ესიც უნდა ვსთქვათ, რომ მისმა სახელმა და გუბერნიის მთავრობისაგან მასზე შედგენილ აზრმა, სხვათა შორის, ხელი შეუწყო ბათომის თვით-მმართველობაში ლოიალურ მდგომარეობის სიმტკიცეს.

როგორც კერძო კაცი ლ. ნ. ასათიანი იყო კარგი საამხანაგო, გულღია, სათნო მოსაუბრე, შეუდარებელი თამადა, საუკეთესო მომლხენი და იშვიათი ოხუნჯი.

მისი სამშობლო სოფელი ქვიტირი დიდხანს ვერ დაივიწყებს ლ. ნ. ასათიანს. ბოლონდელ 20 წლის განმავლობაში არაფერი არ გაუკეთებიათ მისს დაუხმარებლად. მისი აზრი რიონიდამ ქვიტირზე არხის გაყვანისა ისეთი ნაყოფიერია და, იმავ დროს. შესაძლებელი, რომ ეხლაც ნაგულვები აქვთ ბევრს განსახორციელებლად.

თ. მაგმაძე.

ახალი ამბავი

—

*** დღეს, 11 ნოემბერს, დილის 11 საათზედ, ტფილისის საოთავად-აზნაურო ბანკის დარბაზში „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა წლიურის კრების გაგრძელებაა დანიშნული, რომელზედაც გამგეობის დანარჩენ სამის წევრის არჩევანები მოხდება.

*** ბათუმიდგან გვაუწყებენ დეპეშით: „9 ნოემბერს, დილის 11 საათზედ, უეცრად გარდაიცვალა ქალაქის მოურავი ლუკა ნიკოლოზის ძე ასათიანი“. *).

*** როგორც შევიტყეთ, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს განუზრახავს ტფილისის საბაღოსნო სკოლის მზრუნველად დანიშნოს საბჭოს წევრი ბ-ნი სოკოლოვი.

*** დღეს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში სახალხო კითხვათა კომისიის წევრთა წლიური კრებაა დანიშნული. კრებას წლიურ ანგარიშს მოახსენებენ და ბიუროს წევრებს ამოირჩევენ.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ, უკანასკნელს სხდომაზედ მოისმინა რა ბათუმის ქალაქის თავის ლ. ნ. ასათიანის უეცრად გარდაცვალების ამბავი, გარდასწყვიტა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს და ამასთანავე სთხოვოს განსვენებულის ცხედარი შეამკონ გვირგვინით ქალაქ ტფილისის სახელით, რისთვისაც გაგზავნილ იქმნა 50 მან.

*** მკითხველებს ეხსომებათ, რომ 7 ოქტომბრიდგან ტფილისში დაარსდა სამხატვრო სასწავლებელი. ამა 1901 წლის 19 თებერვალს სხდომაზედ ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა, რომ ამ სასწავლებელს ყოველწლობით 200 თუმნის შემწეობა აღმოუჩინოს; მაგრამ რადგანაც საბჭოს გარდაწყვეტილებაში არა სჩანს, თუ რომელ დროდგან უნდა ეძლიოს სკოლას აღნიშნული შემწეობა, 9 ნოემბერს ქალაქის გამგეობის სხდომაზედ ქალაქის თავის მოადგილემ შესტაკოვმა აღსძრა ლაპარაკი, რომ განმარტებულ იქმნეს საბჭოს გარდაწყვეტილება. გამგეობამ განიხილა ამ საქმის შესახებ მოსაზრებანი და გარდასწყვიტა, მისცეს სკოლას **ამ** წელს ნახევარი შემწეობისა—1000 მან.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს ხვალინდელს სხდომაზედ განსახილ-

*) მოულოდნელ გარემოებისა გამო ეს დეპეშა დროზედ ვერ დაიბეჭდა

ადგილს დაინახავს, გინდ მტვერიც ადიოდეს, მაინც გვერდს აუხვევს. და ჩვენ-კი, დღევანდელ ქართველებს, ამის შნოც აღარა გვაქვს: პერიოდულად ვიმეორებთ ერთსა და იმავე შეცდომასა. ჩვენდა თავად აღარ გვაგონდება, ანუ აღარ გვინდა, რომ გავიხსენოთ ის ჩვენი დამნაშავობა და თუ სხვამ ვინმემ გვამხილა და ფრთხილება დაგვიწყო, მტრად გადავეკიდებით, და თანაც უტიფროდ გავიძახით: „არა, ეს სულ ტყუილია, ჩვენ მაგგვარი რამ არ ჩაგვიდენია!.. ნუ დაიჯერებთო“.

ეს გადათქმა და ჯიუტობა იმ თავმოყვარეობის ბრალია, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გაყრია პირადობას ჩვენში, და თავმოყვარეობაც ხშირად უკულმართობის წამომშობია ხოლმე. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვსცდილობთ, რომ ჩვენი შეცდომები ჩავაფუჩეჩოთ როგორმე, მაშინ თუ ვინმემ წარმოგვიდგინა უტყუარი საბუთი, ნაცვლად მისა, რომ შევინანოთ და სიმართლე აღვიაროთ, ხერხს გამოვიცვლით ხოლმე და ავსტეხთ კიჟინას ხალხში: ბატონებო!—ვიძახით და ჩვენთან ერთად ვაყვირებთ ჩვენის უბნის მებეკე-მეგანგაშეებსაც — ხალხო და ჯამაათო! ვერა ჰხედავთ ამ თავ-მოყვარე, ტრაბახა ვინმეებს, რომ სულ თავის თავზე ლაპარაკობენ და თავისი ხელიც გაუშვერიათ, რომ ქვეყანას თავიც მოაწონონ და ხელიც უჩვენონო!

გონიერება, რასაკვირველია, მიხვდება, რომ ეს მხოლოდ ბანზე სიტყვის აგდებაა. როცა ვისმეს საბუთი ხელში უჭირავს და წარადგენს, თავისი ხელიც უნდა უეჭველად გააშვიროს, თვარა სხვისი ხელი და უმეტესად მისი მოწინააღმდეგების, იმ საბუთს არავის წარუდგენს... ეს ცხადია, მხოლოდ უგუნურებას არ ესმის ეს ჭეშმარიტება და ბანს აძლევს იმათ, რომელთაც ჰსურთ, რომ ამ გაიძვერულ, დიპლომატიურ ნოტებით ფონს გავიდენ.

ეჰ, ასეა, თუ ისე,—ჩვენ კი ცეცხლში ვიწვით და, სხვა რომ არა იყოს რა, რაც ჩვენ ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ამ ზემოთქმულის მაგალითები ვნახეთ, ისიც კმარა გუნ-გასახეთქად. დავანებოთ თავი სხვას ყოველიფერს და მარტო ქუთაისის ბანკის შესახებ ვისაუბროთ. ნათქვამსა და ნამოქმედარს, როგორც სამოწმო რამეს, თავი დავანებოთ და მხოლოდ იმ უტყუარ საბუთებს ჩავკიდოთ ხელი, რაც გაზეთებით საშვილიშვილოდ გადმოგვეცა:

როცა ამ ბანკის დაარსებას აპირებდნენ ჩვენში, ახალთაობის უმეტესობა იმერეთს გაკეთებას ჰპირდებოდა და საშვილი-შვილო აყვავებას უქადდა. ხალხიც სიხარულით ყალყზე დგებოდა. რამდენიმე მაშინდელი ახალგაზდათაგანი წინააღმდეგი იყო, არ ურჩევდა ხალხს: „ბანკი თავის თავად კარგი რამეა, მაგრამ ჩვენ ჯერ ჯეროობით არ გამოგვადგებაო,—ამ ტკიცებდნენ.—ვინ არ იცის, რომ სამართებელი სასარგებლო იარაღია დიდების ხელში, მაგრამ პატარებს კი არ მიეცემათო, რადგანაც იმას სიფრთხილით და გონიერად უნდა მოხმარებაო. ჩვენც ჯერ არ ვართ მომზადებული ბანკისათვის და ეგ ჩვენ დიდ ვნებასაც მოგვიტანსო: ადგილ-მამული ხელიდან გამოგვეცლება და ახალთაობაც პარტიებად დაიყოფა, ერთმანეთს გადაემტერებიან და აზიური გულის წყრომა იქამდი მიიყვანს, რომ სწორ-მხედველობას დაკარგვინებს, საზოგადოსო და საპირადოს ველარ გაარჩევენ და ქვეყანას ავნებენო.“

ამ გვარი მოსაზრება არ ეჭაშნიკა უმეტესობას და იმ ზოგიერთებს ქვეყნის მოღალატეობაც კი შესწამეს. დასცეს კიჟინა, შეურაცხყოფაც მიაყენეს, აიყოლიეს მოხიბლული ხალხი და სავნებელ გამარჯვებას სიცილ-ხარხარით დღესასწაულობდენ. წინ რა მოელოდათ, ვერა გრძნობდენ. თუ უკაცრავად არ ვიქნებით, ახლა ვკითხავთ იმ მაშინდელ გამარჯვებულებს: დღეს რალასა ბძანებენ? დაუჯდათ იმ ზოგიერთების ნათქვამი და ენიშნათ თუ არა? კიდევ ეცინებათ, თუ მათი „ხა-ხა-ხა“ „ვაი-ვაი“-ზე გადადის? ეს ერთი.

როცა ბანკის მართველებსა და გამგეობის წევრებს ირჩევდენ, ხომ ახსოვთ, რას ეუბნებოდენ მაშინ? ნუ მიჰყვებით პირადობას, აქ საზოგადო საქმეა და ღირსეულები აირჩიეთო.—რას სულელობთ, ჩვენ ჩვენიანი უნდა დავაყენოთო, პასუხს იძლეოდენ. ზოგი ამბობდა: ღირსეულად ის მიმაჩნია, ვინც მე მიყვარს და ჩემიაო: ამან შვილი მომინათლა, ის ადგილს მპირდება, ეს სადილს მაჭმევს ხოლმეო...

რასაკვირველია, ამ მოსაზრებით ამორჩეულმა პირებმა, ბანკის საქმე არივ-დარიეს. და საქმე რომ წახდა, თავი რომ გაემართლებიათ, გამოგონილსა და მოჭორილ მიზეზებს ეჭიდებოდენ. არჩეულმა პირებმა მათი მომხრეების ადგილ-მამული უცნაურად დააფასეს და იმდენი ფული მისცეს, რომ გამოყიდვა აღარავის უფიქრია და ბანკი ზარალობდა მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგების ძვირფასს მამულსაც არად აფასებდენ. და ამ გვარად ბანკი საპირადო, კერძო, საწვრილმანო დუქნად გადაიქცა.

სწორედ ამ დროსვე თავადმა მირსკიმ შემოუთვალა იმერეთის თავად-აზნაურობას: აჯამეთსა ვჰყიდი, მაგრამ მენანება, რომ იმერეთს დაეკარგოს ეს ძვირფასი საუნჯე, და რასაც ონანოვი მაძლევს დღეს,

ლად დანიშნულია, სხვათა შო-
ის, შემდეგი საქმეები: მოხსენება
ლაქის გამგეობისა ცეცხლის მქრო-
ლ რაზმისა და სხვა დაწესებულე-
თა მოსათავსებელ შენობის აგე-
ს შესახებ; მოხსენება სარევიზიო
ომისიისა ქალაქის გამგეობის 1899
ლის მოქმედების ანგარიშის გან-
ლვის გამო; სია ქალაქის 1902
ლის შემოსავლისა; მოხსენება კო-
სიისა ნ. ზუბალაშვილის სახელო-
ზე ღარიბთა თავშესაფარის სახ-
ის აშენების შესახებ და სხვა.

*** ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკ-
ლესიაში 10 ნოემბერს, ეკკლესიის
ლეობას, მწირველი იყო მისი ყოვ-
ად უსამღვდელოესობა გორის
ეპისკოპოსი კირიონი ქალაქის ზო-
ერთ სამღვდელოების თანამსახუ-
ებით. წირვას ძალიან ბევრი ხალ-
ი დაესწრო. ბევრი ჩამოვიდა სო-
ლებიდგან.

*** სენატის განმარტებით ქა-
აქს თურმე უფლება არა აქვს
ვალდებულო დადგენილებები
ლვარების გაწმენდა-შესწორებაში
ლაქის მცხოვრებთ სავალდებუ-
ო გარდასახადი შეაწეროს.

*** საერო განათლების სამინის-
ტროში ამ ჟამად დიდი მუშაობაა
ის შესახებ, თუ დედათა დაბალს
პროფესიონალო სკოლებში რა
ცვლილება უნდა იქმნეს შემოღე
ული.

*** როგორც ტფილისის რკინის
ის სატეხნიკო სასწავლებლის
ვარიშიდვანა სჩანს, წრეულს იქ
ავლა დაუმთავრებია ორს ქართ-
ელს: ვარაზაშვილსა და დარჩია-
ვილს, ხოლო ჯილდოს ღირსად
ცანიათ სამი ქართველი: წულე-
კირი, ლეჟავა და რამიშვილი.
ასწავლებლის დაარსებიდგან დღემ-
ის სწავლა დაუმთავრებია 321
ბაწვილს. დღეს სასწავლებლის
ამსავე კლასში სულ 106 მოსწავ-
ე ითვლება.

*** ბორჯომსა და ბორჯომ-პარკს
ბუა 14 ნოემბრიდგან 6 წყვილი
ამგზავრო მატარებელი ივლის.

*** ბათუმიდგან იუწყებიან, რომ
9 ნოემბერს ზეინკალის თანაშემწეს
ვ. ქუთათელაძეს რკინის გზის სად-
გურის სამჭედლოში ცეცხლი მოჰ-
კიდებია და ზურგი მძიმედ დაჭშა-
ვებია. დაშავებული ტფილისის რკი-
ნის გზის საავადმყოფოში გამოუგ-
ზავნიათ.

*** რუსეთის „პირველ დამზღვევ
საზოგადოების“ მთავარს აგენტს გ.
ა ყარანგოზიშვილს ქალაქის გამ-
გეობაში აღნიშნულის საზოგადოე-
ბის რწმუნება წარუდგენია და სურ
ვილი განუცხადებია, ქალაქის საბ-
ჭოს ხმოსნობაზედ კენჭი იყაროს.

*** 6 ნოემბერს ტფილისის სა-
მოსამართლო პალატამ დაამტკიცა
ოლქის სასამართლოს განაჩენი,
რომლითაც ე. კანდელაკიშვილს
კაცის მოკვლის განზრახვისათვის
გარდაწყვეტილი ჰქონდა ზოგიერთ
ღირსებათა ჩამორთმევა და პატი-
მართა გამასწორებელ რაზმში 1
წლის ვადით გაგზავნა.

*** როგორც მიხაილოვიდგან იუწყებიან,
ხოპერის რაზმის ყაზახს მ. მელნიკოვს (23
წლისა) მიმავალს მატარებელ № 6 შე-
ხტომა სდომებია, ფეხი დაჰსხლეტია, მა-
ტარებლის ქვეშ ჩავარდნილა და დაშავე-
ბულა.

*** მე-470 ვერსის სადარაჯოდგან იტყო-
ბინებიან, რომ 9 ნოემბერს, სადგურზედ
მისვლის დროს მუშა მატარებელი ლიან-
დაგიდგან გადავარდნილა. დაშავებულა
კონდუქტორი ყაზაროვი და ვაგონებიც
დაზიანებულა.

რედაქტორობის კანდიდატი.

(ესკიზი)

—

შუაღამეს გადაცილებული იყო. „იალტის“ რესტორანის ეზოში, ფარჩატურს ქვეშ, რიონის პირად, ორი ძმა ბიჭი სუფრას უსხდენ. რამდენიმე დაცალიერებული ბოთლი, დანა-ჩანგალი და თეფში ჯერ კიდევ წინ ედგათ არეულათ. ღვინო ორ ჭიქაში-ღა იყო. ეტყობოდათ, ამ უკანასკნელს ულუფას ერთობ აფასებდნენ: დასვენებით, გრძნობით, შეგნებით და სიფრთხილით, რომ უცებ არ გამოვცალოთო, წვეთებით ხვრეპდენ ძვირფასსა და საყვარელს სასმელს. ყოველს შეხვრეპის შემდეგ ხან ერთი, ხან მეორე, ან-და ორივე ერთათ ღრმათ ამოიოხრებდნენ და თავ-ჩაქინდრულნი ჩააშტერდებოდნენ ჭიქებს; მათი გამოცდილი თვალი ზომავდა—თუ რამდენი დარჩა კიდევ შიგ.

იმათ მეტი მუშტარი იქ აღარავინ იყო. ქუჩასა და იქვე ხიდზედაც სიჩუმე სუფევდა. ისმოდა მხოლოთ ჩქარი მდინარის ხმა, რომლის მკვირცხლს ტალღებზე ანასხლეტი მთვარის ციაგი ნაზს სინათლეს ჰფენდა წყლის ნაპირებს.

— სამოთხე არაა, კაცო, ეს ქუთაისი, რომ პატრონი ჰყავდეს? სთქვა ერთმა მათგანმა, რომელმაც აიღო თავი, გახედა გაღმა მხარეს და ზექედას, და მერე დაღვრემილის ამხანაგის სახეზე შეაჩერა თვალები.

— რას ჩამოგიყრია, კაცო, ყურები? მოწყენას სხომისაც მოასწრებ, ახლა სთქვი რამე, გამხიარულდი!

მისს მოინახეს თვალი არ მოუშორებია ჭიქისათვის, არც თავი აუწევია, ისე ნაღვლიანათ წამოილუღლუღა:

— სხვისთვის შეიძლება სამოთხეა, მარა ამ ჩემის კუჭისთვის რომ ჯოჯოხეთია. ამას კარგად ვგრძნობ...

— ეე, წამოიწყე ახლა შენებურათ! ააწყვეტინა ამხანაგმა,—რა იყო, რა დაგემართა იმისთანა, რომ სხვას არ დამართოდეს? შენს მეტს არავის ასწვია კუჭი, თუ როგორაა შენი საქმე?

— კაცო, სხვას თუ ასწვია, გამანელებელი წამალიც უპოვნია და ჩემთვის კი არც წამალია, არც სხვა რამ ნუგეში...

— რაო ახლა, რა გინდა მაინცა და მაინც, ნიშანდობლივ რომ ვსთქვათ?..

— რა მინდა და, მილიონი საპალნე ღვინო არ გადამიბრუნდეს ჭურებში,—იმის მეშინია და მუშტარს ვეძებ! რა უნდა მინდოდეს, აბა? სოფლათ მიწა აღარ გამაჩნია და ქალაქში შენობა, ჯიბეში ფული ღ ფულიანების ნდობა... სამსახურში მინდა სადმე შევრგო თავი, მარა ვერაფერი მომიხერხებია, კაცი მე არ მეწევა და...

— თავისუფლებას მიჩვეული ხარ, ჩემო ძმაო, შენ აწი ბატონს ველარ იგუებ...

იმან, ვისდამიც ეს სიტყვები იყო მიმართული, მხოლოთ ახლა იკადრა თავის აწევა, მიაჭყიტა თვალები ამხანაგს და განაგრძო:

— კაცო, შიმშილის ბატონობას თუ ვიტანთ, ჩემისთანა ხორც შესხმული კაცის ბატონობას უფრო არ ავიტანთ, თუ კუჭს გავიძღებ?

— თუ მასეა, მე ერთს კაი რჩევას მოგცემ...

— მიშველე რამე, აგებ გზას დამაყენო!

— ერთს ადვოკატს ვიცნობ, მუდამ ბევრი გადასაწერი აქვს, ასე ექვსიოდე თუმანი ეხარჯება მწერლებზე თვეში, მოგიხერხებ რომ შენ გადმოგცეს ყველა გადასაწერი...

— აჰ, მაგ არ შემიძლია: ხელი არ მივარგა!

— სასამართლოში თარჯიმანის ადგილია დაცლილი, ვეცადოთ X-თან იქნება გვაშოვნინოს, ხვალ ვსთხოვოთ ერთათ...

— თარჯიმნობა არ შემიძლია სწორეთ: რა ვიცი, რა დროს რა სიტყვა დამავიწყდებ, მერე იმდენს ხალხში უნდა გამოვწყდე... სირცხვილით...

— ჰმ... ჰო, ეხლა გამახსენდა. მის სტამბას კორექტორი სჭირია. იმაზე ადვილი რაღაა.. ორმოცს მანეთს მოგცემენ თვეში, ნახევარჯერ თავისუფალი იქნები.

— ვიყავი იმ ოხრებთან, ერთს ორ დღეს კიდევაც ვიმუშავე, მარა დამითხოვეს: გრამატიკის ცოდნა დამიწუნეს...

—მოდი, აბა, ერთი დამიჯერე შენ: ბილეთს მე გიშოვნი და ჩაიხრიგინე ბათომში: იქ კანტორებში სავსეა ადგილები და ერთს რაცა ვერ იშოვნი? ჩვენი მეტლიტონი იქ არ არის!?

— კაი მოგვიდეს, კაი მაგ იქნებოდა, მარა ბუხგალტერიის სრულიად არაფერი გამეგება და ვერც ვერასოდეს ვერაფერს გავიგებ, ისე მძულდა ყოველთვის თვლა და ანგარიში...

— აბა, რა შენი ჯანდაბა ვიცი, და, თუ არაფერი არ შეგიძლია, ლია?! გული დიდი, კუჭი ფართე, ჭკუა ნაკლე, ცოდნა მჩატე და იმავე დროს მუცელი მაძღარი არ იქნება, ჩემო ძმაო...

აქ ამხანაგს მეტის მეტი წყენა შეატყო, შეფიქრდა და ერთს ლანდზე გამოიცვალა კილო:

— იცი რა? უკანასკნელათ კიდევ გირჩევ ერთს რასმეს: არაკიძე კონდუქტორი უბილეთოთ ჩაგიყვანს, ჩადი თბილისში: “მედროვეს“ გამომცემელნი სარედაქტორო კაცს ეძებენ... ნამდვილათ ვიცი. მიდი პირდაპირ მათთან! ენა წყლიანობა შენ არ გაკლია და... ჰა, აბა შენ იცი!..

— ოო, შენ გაგახარა ღმერთმა, როგორც ახლა მაგით გამახარე! აკი ამაშენე კაცი!.. შენისთანა ძმა კაცს ვენაცვალე! იმნაირს გამოცემაში შრომისთანა ადვილი რა არის: თუ საწერ-კალამი და ქაღალდი კი გეშოვება კაცს, და თან გაბედულობაც შეგწევს,—მეტი რაღა გინდა—ააწრიპინე კალამი ქაღალდზე და მიუშვი ხელი ნებას! რაც უფრო მეტ ძალას დაატან ჭკუას მით უფრო მალე მოიხვეჭ ნიჭიერი მწერლის სახელს... ეს არის მხოლოდ უბედურება: სახელმძღვანელო წერილების წერა რომ დამავალონ, უცხო ენების სიტყვები ნაკლებათ ვიცი... მარა, არაფერია არა!.. ერთს-ორს თვეს რომ მეყოს სტატიების მასალათ იმდენი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ახლაც ვიცი: ინტელიგენცია, ინდულგენცია, პანოპტიკუმ, პოზიცია, მარქსიზმი და დისკონტი...

— ჰერი ბიჭო! სამწერლო თოფხანა მზად გქონებია! გაეშურე, ნუღარ იგვიანებ!..

— მშვიდობით, ეხლავ მივდივარ, კიდევ მოვასწრებ ღამის მატარებელს, მშვიდობით! იცოცხლე!

და სიხარულით ატაცებული ამხანაგი თვალის ერთს დახამხამებაზედ გაშორდა თავის კეთილს მრჩეველსა და მოსაუბრეს...

თ. მაგმაძე.

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

ᲗᲐᲕᲜᲖᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲘᲗᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ

დამაკვირდი

—

ყოველს შენს მოქმედებას თამამად დააჩნევ ბეჭედი შენის ჭკუისა, რომ მახლობელთა შენთა გეძიონ შენ; მთელს ქვეყნიერობას თამამად აუწყე შენი გულითადი აზრი, რომ შენ შორეულთაც გისმინონ.

შლეიერმახერ.

***

მშვენიერება მამა-კაცისა მისი ჭკუაა, ჭკუა დედა-კაცისა მისი მშვენიერებაა.

არაბული ანდაზა.

***

რა ხშირად ჰხმაროობს ადამიანი ჭკუას იმისათვის, რომ სულელობა ჩაიდინოს.

ლაროშფუკო.

თეატრის მატიანე

—

ნუ დაივიწყებს ჩვენი მკითხველი, რომ დღეს ქართულს თეატრში, ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით, წარმოადგენენ „ორ ობოლს“. ეს მელოდრამა ქართველ საზოგადოებას მოსწონს და ხალხი მისს სანახავად ყოველთვის მრავლად დაიარება. დღეს ადგილების ფასი შესამჩნევად დაკლებულია. ლუიზას როლს შეასრულებს ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისი, ხოლო ფროშარისას ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა.

—

დღესვე ვეტცელის დარბაზში გაიმართება საღამო უფასო სამკითხველოების სასარგებლოდ. სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ქ-ნ აზიანის 2 მოქმ. კომედ. „გაცრუებული იმედები“. წარმოდგენის შემდეგ ცეკვა გაიმართება. იმედია, საზოგადოება მხარს მისცემს ამ მეტად სიმპატიურ მიზანს.

საგაასო

უკანასკნელის ოინების გამო.

(პასუხად ბ-ნს ლასხიშვილსა)

ბ-ნი ლასხიშვილი არა კმაროობს იმას, რაც ჩემ წინააღმდეგ იბეჭდება მისს გაზეთში, და სხვა გაზეთის სვეტებზედაც გადიტანა პოლემიკა. მან „ივერიაში“ გუშინწინ დასტამბა წერილი, რომელშიაც ბევრგან ღალატობს სიმართლესა. ბევრად კი სჯობდა მისთვისაც პირადად და საქმისათვისაც, რომ გულწრფელად აღეარებინა ის, რაც მოხდა და როგორც მოხდა. რადგანაც ეს მან არ ინება, მე იძულებული ვარ, ეს სტრიქონები დავბეჭდო.

როცა „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში მე შევიტანე ჩემი წერილი დასაბეჭდად, იქ დამხვდა რედაქტორი ბ-ნი ლასხიშვილი (მთავარ-რედაქტორი სხვაა), გადიკითხა ჩემი წერილი და მხოლოდ ერთის ადგილის შესახებ უთანხმობა განაცხადა. მე იქვე შევასწორე ეს ადგილი და ამ შესწორებით იგი დარჩა კმაყოფილი. სხვა ადგილების შესახებ არავითარი შენიშვნა, არავითარი უთანხმოება არ გამოუცხადებია, და ამითქვა, წერილს სავსებით დავბეჭდავ. წინააღმდეგ შემთხვევაში მე ჩემს წერილს უკანვე წამოვიღებდი. ფიცი კი, რასაკვირველია, არც მე მომითხოვნია და არც იმას მოუცია. როცა მეორე დღეს, ჩემ განსაკვიფრებლად, დაბეჭდილს წერილში გამოტოვებული ვნახე ერთი ადგილი, სადაც ჩემს ნათქვამს, რედაქციის მიერ ჭორად წოდებულს, ვამტკიცებდი წერილობითი საბუთით, მე შევიარე რედაქციაში და ამის მიზეზი ვკითხე იმავე ბატონს ლასხიშვილსა. იგი, ცოტა არ იყოს, შეწითლდა და მიპასუხა: „მე საკუთარი ხელით ამოვშალე ჩვენის გაზეთის ანგარიშიდგან ის ადგილი, რომელსაც ამტკიცებს თქვენ მიერ დასახელებული წერილობითი საბუთი, და ამიტომ ამ საბუთის მოხსენება საჭიროდ აღარ დავინახეო. მე ვუთხარი: აბა მონახეთ ის ნომერი თქვენის გაზეთისა და თქვენ მიერ ვითომ ამოშლილი ადგილი დაბეჭდილი აღმოჩნდება მეთქი. ეძება, ეძება ნომერი, და ვერ იპოვნა. მაშინ კანტორის მოსამსახურე პირს ვთხოვე მოენახა ჩვენთვის საჭირო ნომერი და მან მაშინვე მოგვიტანა. ბ-ნმა ლასხიშვილმა საკუთარი თვალით ამოიკითხა ის ადგილი, რომელიც ვითომ ამოეშალა, ან ამოშლილი ეგონა. სახტად დარჩა, რასაკვირველია.

ახლა ბ-ნი ლასხიშვილი ამ გარემოებას სრულიად მალავს და სხვა ფრივ ხსნის თავისს საქციელსა. უმნიშვნელოდ და უხერხულად ჩავთვალე ის ადგილი გოგებაშვილის წერილისა და ამიტომ ამოვშალეო. გაგონილა ესა? თქვენ სიტყვებს ჭორს ეძახის რედაქცია, თქვენ ასახელებთ წერილობითს საბუთს თქვენი სიმართლის დასამტკიცებლად და იგი რედაქცია შლის ამ მთავარს ადგილს თქვენის წერილისას და ლაღად ამბობს: მეტად მივიჩნიეთ ეს ადგილიო და ამიტომ გამოვსტოვეთო!! რას ჰგავს, ბატონებო, ესა?

უხერხულად მიგვაჩნდაო, ბრძანებთ. სად იყო ეს მოსაზრება მაშინ, როდესაც თქვენს ანგარიშში ჰბეჭდავდით მწვავს ინციდენტს და ისიც ტენდენციურად დამახინჯებულსა?! არც ერთმა სხვა გაზეთმა არ გამოაქვეყნა ეს მწვავი ინციდენტი და თქვენც რომ ასე მოქცეულიყავით, იგი დარჩებოდა შინაურ ამბად და არავითარ უსიამოვნობას არ დაჰბადებდა არც ტფილისში და არც სხვაგან. თქვენ სრულად დაივიწყეთ და არ მოიხსენეთ თქვენს ანგარიშში ბევრი საინტერესო აზრები, წარმოთქმული წევრთაგან საზოგადო კრებაზე (მაგალითად, საზოგადო გეოგრაფიის და ისტორიის გამოცემა ქართულს ენაზე) და იმ საწვავ ინციდენტს კი დაუთმეთ ვეებერთელა ადგილი. რად და რისთვის? აშკარაა იმისათვის, რომ იგი გამოგეყენებინათ ჩემ წინააღმდეგ, თუნდა ამ გამოყენებას მოჰყოლოდა ხიფათი ერთის საზოგადოებრივის დაწესებულების შესახებ. და აკი კიდეც გამოიყენეთ. ჯერ ტენდენციურად დაამახინჯეთ და დაბეჭდეთ გაზეთში ინციდენტი კავკავის სკოლის შესახებ, მერმე ჩემი წერილიდგან გამოსტოვეთ მთავარი გასამართლებელი საბუთი, და ბოლოს დაბეჭდეთ, სწორედ არჩევანების დღესა, ცილის წამებაზე აშენებული კარიკატურა.

რა ჰქონდა მახლობელ მიზნად ამ ოინებსა? ჩემი გაშავება კვირის არჩევანებზე. ეს აშკარაა ორივე თვალით ბრმათათვისაც-კი. ჩემს მოქმედებას კი არავითარი კავშირი არა ჰქონია კენჭაობასთან, რადგანაც წინადვე გადაწყვეტილი მქონდა გამგეობის წევრობიდგან გამოსვლა. მე საზოგადო კრების წინა დღეებში დავამზადე წერილობითი მოხსენება, რომელშიაც უარს ვაცხადებდი გამგეობის წევრობაზე და რომელიც წაკითხული იქმნა საზოგადო კრებაზე არჩევანების დაწყების წინ მდივნის ბ-ნ პეტრე მირიანაშვილის მიერ. მაგრამ რადგანაც ბევრმა წევრმა მოითხოვა კენჭი მეყარა და ეს მოთხოვნილება გაიმეორეს ოთხჯერ-ხუთჯერ, ხათრი ვეღარ გავუტეხე და დავიდგი ყუთი; ამასთან განვაცხადე: „მე უფლებას ვიტოვებ არჩევის შემდეგ უარი ვსთქვა წევრობაზე, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით ამას საჭიროდ დავინახამ მეთქი. და კიდეც ვისარგებლე ამ უფლებით, და არჩევანების შემდეგ ოთხშაბათს დღეს გამგეობას წარვუდგინე ჩემი წერილობითი უარი.

რაც შეეხება საარჩევნო აღიტაციას, მე მასში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია, არც ერთს პარტიასთან არა მქონია არავითარი მოლაპარაკება, არც ერთს მათს სხდომაზე მე არ დავსწრებივარ, გარდა გამგეობის სხდომებისა, არავისთან არ წავსულვარ, არავინ არ მიმიწვევია ჩემთან ამ საქმის გამო. იმ ქართულს ფულებში, რომელიც იმ დღეებში ჩავიდა მეფაეტონების ჯიბეში, ჩემი ერთი გროშიც არ ურევია. მე განზე ვიდექი გამართოვებულად და მხოლოდ იმისი მონატრული ვიყავი, რომ გამგეობის წევრებად ამორჩეული ყოფილიყვნენ ყველა პარტიის ღირსეულნი პირნი.

იაკობ გოგებაშვილი

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

9 ნოემბერი.

პეტერბურგი. 9 ნოემბერს დაბრუნდა საზღვარ გარეთიდამ დიდი მთავარი ალექსეი ალექსანდრეს ძე.

— 1890 და 1892 წლის სარკინის გზო და 1893 წლის საშინაო სესხის შეკეცილ 4½ პროცენტიან ობლიგაციების ნებაყოფლობით გასაცვლელად ამ ჟამად გამოიცემა, უკვე არსებულის 4 პროცენტიანის სახელმწიფო რენტის 14 სერიის გარდა, ათის მილიონის ახალი მე-246-ე სერია 4 პროცენტიანის რენტისა.

პოტსდამი. პოტსდამის გარნიზონისთვის ახლად გაწვეულმა ჯარის კაცებმა ფიცი მიიღეს იმპერატორის და ერცჰერცოგის ფერდინანდ-კარლოსის თანადასწრებით. იმპერატორმა სიტყვა წარმოსთქვა.

ჩისტოპოლი. ნამდვილი ზამთარია; თოვლი ბლომადა სძევს. კამაზე ყინულია და ამ ყინულზე გადადიან.

ლონდონი. გერმანიის ელჩად ნამყოფი გაუპფელდი დღეს გერმანიის საელჩოში გარდაიცვალა.

ვარშავა. არქიეპისკოპოსმა იერონიმმა გადასწყვიტა დაარსოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება.

— იმ ვაგონში, რომელსაც ამას წინად ცეცხლი წაეკიდა ვარშავის რკინის გზაზე, როგორც ბენდინიდამ იცნობებიან, 30 კაცი ყოფილა; იმათგან სამი დამწვარა, მეოთხე ამ დღეებში გარდაიცვალა, მეხუთე უკანასკნელს დღეშია, 8 მძიმედ არის დაშავებული, სამი მსუბუქად და 14 სულ კარგად არის.

ვილნო. 9 ნოემბერს დანიშნული იყო გასარჩევად ბლონდესის საქმე. ნაფიც მსაჯულთა მოუსვლელობის გამო საქმის განხილვა გადაიდო.

ლონდონი. პარლამენტს სამს იანვრისთვის იწვევენ.

10 ნოემბერი.

კონსტანტინოპოლი. დიდი ვეზირი საიდ-ფაშა ტელეგრამით ურჩევს ყველა ვალის-ფაშებს უცილობელად ასრულებდენ ხოლმე ნებას ხონთქრისას, რომელიც მოწადინებულია ყველა ქვეშევრდომების ბედნიერებასა და სიკეთეს.—დივიზიის გენერალი შაქირ-ფაშა, საიმპერატორო გვარდიის შტაბის უფროსი დანიშნა სკუტარის ვალი-ფაშად და კომენდანტად.

საიმპერატორო გვარდიის კორპუსის შტაბის უფროსი, დივიზიის გენერალი შაქირ-ფაშა დანიშნულ იქმნა სკუტარის ვილით და კომენდანტად.

ვენა. ყველა პოლიტიკურ დასების მოთავები შეიკრიბნენ თათბირზედ პარლამენტის მოქმედების ხელშესაწყობად. თათბირში მონაწილეობას იღებს მინისტრ-პრეზიდენტი კერბერი.

ლონდონი მუშაობა კალის-ვარშავის რკინის გზის ზდუნსკაია-ვოლია-კოლიაშის ნაწილში. მიმდინარე თვეში იქმნება დამთავრებული.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების ამოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარსკევლებით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ბათუმში:

ფოსტის მატარებელი № 3 [illegible] 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩადის 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.), ტფილისში შამოდის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს 47 წ. (7 ს. 45 წ.)

განცხადება



როიალები



ჰიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—ნ.—7)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Ноября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.